პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

გადაწყვეტილება № 08

2019 წ. " 24 " 12

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112"-ის პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების დასკვნისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112"-ს (ს/კ: 204579429) მიეცეს უფლება, განახორციელოს ქვემოთ მოცემული პროფესიული მომზადების პროგრამა:

პროფესიული მომზადების პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00395	საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი	მომზადება	3	8	ქართული	15	თბილისი, ლისის ქ. #1 ა

2. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის №3 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან.
4. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

საბჭოს თავმჯდომარე
მარიამ ქუჩულორია

მდივანი
მარიკა ზაქარეიშვილი